ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის საშობაო ეპისტოლე

> “ვინც არის უხილავი ღვთის ხატება,
> პირმშო ყოველი ქმნილებისა,
> ვინაიდან მისით შეიქმნა ყოველი,
> რაც ცაში და მიწაზეა, ხილული და
> უხილავი : საყდარნი თუ უფლებანი,
> მთავრობანი თუ ხელმწიფებანი –
> ყველაფერი მის მიერ
> და მისთვის არის შექმნილი.
> იგი არის უწინარეს ყოვლისა
> და ყოველივე მისით დგას. »
> *კოლოსელთა* 1:15-17(საქართველოს ბიბლიური საზოგადოება)

ნათელი ღვთის სიკეთის გაბრწყინებული ხატია სამყაროს დაბადებისას და ქრისტეს შობისას გამოვლენილი. შემქმნელი ბრძანებს : “იყოს ნათელი!”[1] და სამყარო იქმნება. ქრისტეს შობისას ნათელი გაარღვევს ღამის წყვდიადს ისე, რომ სიბნელე ვერასდროს გადაფარავს ცოცხალი ღმერთის მანათობელ აღთქმას.[2]

შობა წარმოადგენს ღვთისთვის დიდების შესხმის პერიოდს,[3] თუმცა ჩვენს დროში გარემოს განადგურების სინამდვილე შესაქმის სადიდებელს ჩრდილს აყენებს. სამყაროს შეწყობილი გალობა დაბინძურებისა და მანუფაქტურული ხმაურის შედეგად უფერულდება, ზღვის რიტმი კლიმატის ცვლილების გამო ირღვევა, სიცოცხლისეული მშვენიერება ხშირად გაუმაძღრობითაა დამახინჯებული. დედამიწის მსგავსად მისი ბინადრებიც იტანჯებიან. ღარიბებისა და სხვა სოციალურად დაჩაგრულთათვის ძნელია გალობას ხმა შეუწყონ.

მარიამისა და იოსების დროს კეისარ ავგუსტუსს სჯეროდა, რომ ძალაუფლება მის ხელთ იყო. მან გამოსცა კანონი, რომ “მთელ მსოფლიოს” (ბიბლიური სიტყვაა *ოიკუმენა*)[4] საშემოსავლო უნდა გადაეხადა, რის გამოც უცნობი წყვილი ბეთლემისკენ გაეშურა. ღმერთს კი სხვა ისტორიული მიზანი ჰქონდა, და ჩვენ დღეს გვესმის, რომ სამეფო ტახტების, ძლიერთა ამა ქვეყნისა, მმართველებისა და ავტორიტეტული პირების მოქმედება მიზნად არ ისახავდა წინასწარმეტყველების განხორციელებას. ჭეშმარიტად, ქრისტეა და არა კეისარი ვინც “არის უწინარეს ყოვლისა და ყოველივე მისით დგას.”[5]

---

[1] დაბადება 1 :3.
[2] იოანე 1 :4-5.
[3] ლუკა 2 :14.
[4] ლუკა 2 :1.
[5] კოლოსელთა 1:17; ფსალმუნები 2:7-10.

ბიბლიური მკვლევარი ბარბარა როსინგი მიგვითითებს, რომ ძველი, იმპერიული, კეისრისეული *ოიკუმენა* ახალ ეკონომიურ, სამხედრო და პოლიტიკურ იმპერიებთან ერთად იხრწნება. თუმცა წინასწარმეტყველები და მოციქულები გვარწმუნებენ, რომ ღმერთის ქმნილება – ჭეშმარიტი *ოიკუმენა*, რომელიც ღვთის სახლია, უნდა გარდაიქმნას.[6]

ჩვენი ლოცვაც ცვლილებას მეტყველებს და საკუთარი თავი ამ გარდაქმნის საშუალებად გვესახება.[7] ჩვენ გვწამს, რომ ქრისტეს მოსვლა მოასწავებს ახალ შესაქმეს, რომელშიც ანგელოზთა გალობის იმედი განხორციელებულია - ღმერთი, კაცობრიობა და სიცოცხლის ყველა გამოვლინება შერიგებულია.[8]

---

[6] ისაია 65 :17 ; გამოცხადება 21-22.
[7] 2კორინთელთა 4:16.
[8] 2კორინთელთა 5 :17-20.